# ᲥᲠᲬᲧ ᲡᲔᲥᲐᲢᲣᲙᲪᲐ

# ᲛᲔᲪᲮᲔᲠᲔᲗᲐ

## ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ

სამეგრელოს ჩრდილოეთით სვანეთი და კავკასიონის ქედი, ჩრდილო აღმოსავლეთით რაჭა, აღმოსავლეთით იმერეთი, სამხრეთით გურია, ჩრდილო - დასავლეთით აფხაზეთი, დასავლეთით კი შავი ზღვა ესაზღვრება. რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქი ზუგდიდი წარმოადგენს.

ზუგდიდის გარდა რეგიონი მოიცავს ექვს ადმინისტრაციულ ერთეულს - აბაშა, მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, ხალვაში, ხობი და ხაქორაველის ერთ-ერთი მთავარი პორტი - ქ. ფოთი.

## ᲒᲝᲛᲑᲐᲠᲘᲐ

სამეგრელო მდებარეობს მდინარე რიონის, ენგურის, ცხენისწყლის ხეობებსა და შავი ზღვის სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთის ზოლში. მოიცავს როგორც დაბლობს, უმეტესად ჭაობიან ნიადაგებს, ისე ბორცვ-გორაკებსა და ხეობებს.

სამეგრელოში მდებარეობს კოლხეთის ეროვნული ნაკრძალი. იგი მოიცავს კოლხეთის ჭარბტენიან ტერიტორიებს, ზღვის აკვატორიასა და პალიასტომის ტბას. ზღვის სანაპირო ხაზს გასწერივ ქვიშიანი დიუნების ვიწრო ზოლი მიუყვება, პარკის ძირითადი ნაწილი ტორფიანი ჭაობია. ტორფის შრის სიღრმე ზოგიერთ ადგილზე 12 მეტრს აღემატება. ზედაპირი დაქსელილია ჭაობის მცირე მდინარეებით. ნაკრძალის ტერიტორიაზე მრავალი ტბაა. მათ შორის აღსანიშნავია პალიასტომის ტბა, რომელიც წარსულში შავი ზღვის ყურე ყოფილა. კოლხეთის დაბლობის მცენარეული საფარი ძალიან მდიდარია. მის უნიკალურობას განაპირობებს ენდემური სახეობების სიუხვე.

## ᲕᲔᲚᲔᲑᲘ/ᲪᲮᲘᲝᲔᲑᲘ

სამეგრელოს ზღვისპირეთში ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, აქ ცხელი ზაფხული და თბილი ზამთარი იცის. დაბლობში წლის საშუალო ტემპერატურა +13-19 ᵒC-ია. ნრდილოეთით, მთების სიმაღლის მატებასთან ერთად, ჰაერის ტემპერატურა კლებულობს.

## ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

სამეგრელოს დღევანდელი ტერიტორია, კოლხეთის დაბლობი და ყორა-ბორცვიანი ლანდშაფტები, ჯერ კიდევ ქვის ხანაში იყო დასახლებული. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მდინარე რიონსა და ფიჩორს შორის, ახევე მდინარე ენგურის შესართავთან აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ძეგლები და სხვადასხვაგვარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, აქ მაღალგანვითარებული ცივილიზაცია არსებობდა. ადრებრინჯაოს ხანაში კოლხეთის მოსახლეობა შეღწეულ მდემეებში ცხოვრობდა და აგრძელებდა ენეოლითური კულტურის ტრადიციებს.

შუა ბრინჯაოს ხანაში დაწინაურდა ბრინჯაოს მეტალურგია, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა და საფუძველი ჩაეყარა II ათასწლეულში ერთიან სისტემად ჩამოყალიბებულ კოლხური ბრინჯაოს კულტურას. ძვ.წ-ის VII-VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ძლეური და დამოუკიდებელი, მთელ ანტიკურ სამყაროში კარგად ცნობილი კოლხეთის სამეფო. სწორედ კოლხეთში იმოგზაურეს არგონავტებმა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. მითში ლეგენდარულ ამბებთან ერთად ისტორიული სინამდვილეცაა ასახული. უძველეს კოლხურ სამეფოში მადალ დონეზე იყო განვითარებული მეტალურგია, სამოქალაქო კულტურა, მეგვინახეობა-მეღვინეობა, ვეშმშენებლობა და ზღვაოსნობა; აქ იჭრებოდა ვერცხლის ფული - კოლხური თეთრი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სამეგრელოს საპორტო ქალაქი ფოთი - (ფაზისი) - კოლხეთის სამეფოს მთავარი ქალაქი იყო. ძვ.წ. VIII–VI საუკუნეებში ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის გარკვეული ურთიერთობაა, რაც დაკავშირებულია დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესთან. კოლხეთის მჭიდრო კონტაქტებმა ბერძნულ სამყაროსთან, რომელიც რეგულარულად ძვ.წ. V-VI საუკუნეებიდან დაიწყო, იმთავითვე განაპირობა შემდგომში - ახ.წ. I საუკუნეებიდან – ქართული სახელმწიფოების ორიენტაცია დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროზე და საოცარ დაუფლო ქართული ცივილიზაციის ევროპული განვითარების ტენდენციას.

I საუკუნეში კოლხეთის სამეფოს ადგილზე ახალი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული - ეგრისის სამეფო წარმოიქმნა. დღევანდელი სამეგრელოს სახელი, სავარაუდოდ, ეგრისიდან მოდის. მისი დედაქალაქი კი ნოქალაქეები (არქეოპოლისი, ცხენ-ჯოჯო) ყოფილა.

შუა საუკუნეებში სამეგრელოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ოდიშის საერისთავო, რომელიც წერილობით წყაროებში თამარის მეფობის ხანაში დადასტურებული. ხოლო XIV-XIX სს-ში ოდიშის საერისთავოს საფუძველზე ჩამოყალიბდა სამეგრელოს სამთავრო, რომელსაც განაგებდნენ დადიანის სავარაუდოს წარმომადგენლები. სამეგრელოს ერთ-ერთი სიმდიდრე ადგილობრიე ენა. მეგრული ენა ქართული ენის ერთ-ერთი უახლოესი მონათესავე ენაა და ქართულთან და სვანურთან ერთად, იბერიულ-კავკასიური ოჯახის ქართველურ ენათა განშტოებას წარმოადგენს. მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ სამეგრელოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე აფხაზეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. მეგრელების ხალიტერატურო და ეროვნული ენა ოდითგანვე ქართული იყო.

## ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ

უძველეს დროში დეგენდრული კოლხეთის სამეფო ახალანდელი სამეგრელოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს მოიცავდა. ძველი ბერძნული მითის მიხედვით, კოლხეთში მეფობდა მზის ღმერთის, ჰელიოსის, შვილი აიეტი, რომელთანაც ინახებოდა ოქროს საწმისი - ვერძის ოქროს მატყლისანი ტყავი. სწორედ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად საბერძნეთიდან კოლხეთში გაემართა 50 ბერძენი გმირი იასონის მეთაურობით. მათ ხომალდს "არგო" ერქვა, ამიტომ ქსმაგდეციის მონაწილეებს არგონავტები უწოდეს. კოლხეთის მეფე აიეტმა არგონავტები თავის სასახლეში მიიღო. ბერძნები გააოცა მეფის სასახლის ბრწყინვალებამ: გალავანმა, ფართო ჭიშკრებმა, სპილენძის ქონგურებით დამშვენებულმა ქვის მაღალმა სვეტებმა. ეზოში ვაზები გაშლილიყვნენ, ვაზების ქვეშ ოთხი დაუშრეტელი შადრევანი ჩქეფდა: ერთი რძის იყო, მეორე- ღვინის, მესამე - სურნელოვანი ზეთის, ხოლო მეოთხე - ჭყლის. იასონმა ამცნო მეფეს თავისი მოსვლის მიზანი და ოქროს საწმისის სანაცვლოდ ბრძოლაში დახმარება შესთავაზა. მეფემ აღუთქვა იასონს ოქროს საწმისი, თუ ის შეძლებდა ჰეფესტოს მიერ საკუთარეულად აიეტისთვის გამოჭედილი სპილენძისფეხებიანი და ცეცხლისშფრქვეველი ხარების უღელში შებმას, შემდეგ ფოლადის გუთნით მინდორის მიხვნას და ნანისაში ურჩხულის კბილების დათესვას. ბოლოს კი ამ კბილებიდან აღმოცენებული სპილენძის-ჯავშნიანი მებრძოლის დამარცხებას. აიეტი ფიქრობდა, რომ იასონი დავალების შესრულებისას დაიღუპებოდა. იასონს დაეხმარა ქალღმერთი ადროდიტე, რომლის ნებითაც აიეტის ქალიშვილს, ჯადოქარ და მზეთუნახავ მედეას, შეუყვარდა იასონი. მედეა დაეხმარა იასონს და მანაც მეფე აიეტის ვეება ბრძანება შეასრულა. კოლხეთის მეფე მაინც არ აპირებდა ოქროს საწმისის გაცემას. მაშინ მედეამ მიიძინა საწმისის მცველი ასთვალა ურჩხული არგუსი, იასონმა კი გაიტაცა ოქროს საწმისი და მედეაც თან წაიყვანა.

## ᲤᲝᲗᲘ

ქალაქი ფოთი ანტიკური ფაზისია, დაარსდა ძვ.წ. VII საუკუნეში და მნიშვნელოვან საპორტო ქალაქს წარმოადგენდა. ფაზისი ისტორიულ წყაროებში უკვე ძვ.წ. VIII საუკუნეში მოიხსენიება. მიწათმოქმედების, ხელოსნობის, საფეიქრო, კერამიკული და სხვა დარგების განვითარებამ ანტიკური ქალაქი კოლხეთის ეკონომიკურ და სავაჭრო ქალაქად აქცია. ქალაქი ცნობილი იყო თავისი კულტურითაც, რიტორიკული სკოლით - ფაზისის აკადემია. ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის სიტყვებით ფაზისში თავს იყრიდა 60 ტომი, რომლებიც ხსვადასხვა ენაზე საუბრობდნენ. ანდრია პირველწოდებულმა ფაზისში იქადაგა ქრისტიანობა. 533 წ. ფაზისის ეპისკოპოსი კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა. ქალაქს თურქების შრავალი შემოსევა ახსოვს. 1725 წელს ფოთის ალების შემდეგ თურქებმა აქ სწორკუთხა ციხე ააგეს ოთხი კოშკით თითოეულ კუთხეში. 1828 წელს, როდესაც ფოთი საქართველოს დაუბრუნდა, ციხე დაანგრიეს და მისი მასალა პორტის მშენებლობაში გამოიყენეს. 1858 წელს ფოთი საპორტო ქალაქად გამოცხადდა.

XX ს-ის 50-60-იან წლებში ქალაქი გაიზარდა და შეიცვალა იერ-სახე. ფოთი გახდა კოლხეთის ჭაობის დაშრობისა და ათვისების სამეცნიერო ცენტრი. ამჟამად ქალაქი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრია.

## ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

### ᲜᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ



ნოქალაქევი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლია. სხვადასხვა წყაროებში ის ცხენ-ჯოჯოსა და არქეოპოლისის სახელითაც არის ცნობილი. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც კოლხეთის ლეგენდარული დედაქალაქი აია სწორედ ნოქალაქევის ადგილას მდებარეობდა. ნოქალაქევის ყველაზე ადრინდელი ფენები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. აქ აღმოჩენილია ამავე პერიოდის მცირე ზომის ქანდაკებები და ორთავიანი ცხოველების მინიატურები. აღსანიშნავია ელინისტური ხანა. ამ პერიოდის ქვევრ-სამარხებში აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის სამკაულები და მრავალფეროვანი კერამიკული მასალა. ახ. წ-ის IV საუკუნეში ნოქალაქევი ციხე-ქალაქი იყო, რომელიც ლაზიკის სამეფოსა და მთელი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი გახდა. V-VI საუკუნეებში ქალაქი სამეფოლმტკრიანი ნიღრმის გალავნით იყო შემოზღუდული და სამი ნაწილისგან შედგებოდა: ქვედა ქალაქი, შუა ციხე და ციტადელი. ნოქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სასახლეების, ქრისტიანული ტაძრების, აბანოების, ვეურაბების და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფრაგმენტები. ციხე-ქალაქი, ფაქტობრივად აუდებული იყო. სამი მხრიდან მდინარე და ციცაბო კლდეები ეხაზეფრებოდა, აღმოსავლეთით კი - სამი გალავანი. კოშკებისა და ჭიშკრების რიული სისტემის გამო მისი მოსადგომები ხორციელებს უკმნდა თავდასხმისგან. მდინარესთან ჩამავალი გვირაბი, წყალმომარაგების ფუნქციასთან ერთად, სამდინარო ჭიშკრის მოვალეობასაც ასრულებდა.

XI საუკუნის ქართული წყაროს მიხედვით, ნოქალაქევი მურვან ერუს VIII საუკუნის 30-იან წლებში დაუპრავდა. დროთა განმავლობაში ციხე-ქალაქმა დაკარგა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა, მაგრამ ვეიან შუა საუკუნეებში ისევ განვითარდა და XVI-XVIII საუკუნეებში ნოქალაქევი სამეგრელოს მთავართა - დადიანების რეზიდენციას წარმოადგენდა.

### ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘ

სოფელ მარტვილის ძველი სახელი ჭყონდიდია. VII საუკუნეში აქ მარტვილთა ტაძარი ააგეს. მარტვილი ბერძნული სიტყვაა და წამებულს ნიშნავს. აქვე, X საუკუნეში, დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო. ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა, დასახლებამ კი მარტვილის სახელი შეინარჩუნა. შუა საუკუნეებში მარტვილი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო, სადაც არაერთი ცნობილი მწიგნობარი მოღვაწეობდა და მრავალი უნიკალური ხელნაწერი ინახებოდა. ცენტრალური ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანია, ზომით პატარა, მაგრამ ცალკეულ ნაწილთა შეფარდების საფუძველზე შექმნილი დიდი, მსუბუქი და ერთიანი შთა სივრცის შთაბეჭდილება. ტაძრის ფასადები მოჩუქურთმებულია. ფიგურები და მცენარეული ორნამენტი ერთიან ნახატს ქმნის და ძველი ადამიანი და სახარების სცენებს ასახავს. ტაძარში შემორჩენილია XIV- XVI და XVII საუკუნის მოხატულობა. მთავარი ტაძრის გვერდით X საუკუნის ორსართულიანი ეკლესია მდებარეობს.

### ᲠᲣᲮᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ

რუხის ციხე გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურის ნიმუშია, რომელიც მდებარეობს მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირას. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. შემოსვლებისა და შეფეროების დროს სამეგრელოს მთავრები - დადიანები რუხის ციხეში ინახნებოდნენ მოსახლეობასთან ერთად.

### ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

დადიანების სასახლე სამეგრელოს მთავართა შტოს წარმომადგენლებს - დედოფალ ქაატერინე ჭავჭავაძე-დადიანსა და თავად ნიკო დადიანს ეკუთვნოდათ. კომპლექსში შედის კარის ეკლესია და დადიანების მიერ გაშენებული ბოტანიკური ბაღი. მთავარმა დავით დადიანმა ჯერ კიდევ 1850 წელს სასახლეში მუზეუმი გახსნა, სადაც გამოფენილი იყო ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მასალა, სახეთი ხელოვნების ნიმუშები, შუა საუკუნეების ევროპული იარაღი, ადგილობრივი ხაბრძოლო აღჭურვილობა და დადიანების საკუთრებაში არსებული უნიკალური კოლექცია.

დღესდეობით დადიანების სასახლეში არსებული მუზეუმი 44 475 ექსპონატს შეიცავს, რომელიც ჩვ-შდე I- ჩვ-ის XIX საუკუნეებით თარიღდება. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ქრისტიანული სიწმინდეების კოლექციას, ევროპული ქვეყნების მონარქთა და საიმპერატორო ოჯახის წევრთა რელიქვიებს და დადიანების უნიკალურ ბიბლიოთეკას. ძირითადი სახასხის წინ შადრევანი მდებარეობს, მარჯვენა კი მცირე ზომის ორსართულიანი, ქართული არქიტექტურული სტილის შენობაა, რომელიც მოახლეებისთვის აუგიათ. სწორედ ამ შენობის უკან იშლება მშვენიერი პარკი, რომელიც მცენარეების სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აღსანიშნავია პატარა ტბა და წყალმომარაგების სისტემა.

გადმოცემის თანახმად, თუ დადიანების სასახლის წინ, მარჯვენა ხეივანში გაიელით და სურვილს ჩაიფიქრებთ, იგი აუცილებლად აგიხორულდებათ.

### ᲪᲐᲘᲨᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐᲚᲘ

ცაიშის ყოფილ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრაა. გუმბათოვანი ნაგებობა აგებულია XIII–XIV საუკუნეებში. მანამდე აქ X-XI საუკუნეების მოზნაზე აგებული დარბაზული ეკლესია იდგა.

1614 წელს მიწისძვრის შედეგად დანგრეული ტაძარი მალევე აღადგინეს. ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ერთ-ერთი ძველი ნაგებობა გალავნის გარეთ, მის დასავლეთ მხარეშია მოთავსებული. მას "პალატს" უწოდებენ, ინტერიერის მიხედვით ის XI საუკუნით თარიღდება.

### ᲜᲐᲬᲔᲜᲥᲕᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐᲚᲘ

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი მდებარეობს ქ. წალენჯიხას განაპირას, შემაღლებულ გორაკზე. ჩარჩოდგეზე ცენტრალური გუმბათოვან ნაგებობას, აგებულია X-XI საუკუნეში. შემორჩენილი ქართული და ბერძნული წარწერების თანახმად, ტაძრის ინტერიერი სამჯერ გრეხოს მთავრის ვამყე დადიანის (1384-1396) ბრძანებით მოუხატავს. კონსტანტინეპოლიდან საგანგებოდ მოწვეულ მხატვრებს კირ მანუელ ეფენდისს. ეს მხატვრობა XIV საუკუნის დასაწყისის კონსტანტინეპოლის სკოლის ერთადერთი ზუსტად დათარიღებული და მხატვრის მიერ ხელმოწერილი ნიმუშია. ფერისცვალების ტაძარში დასვლეთ ეკედერში განასვენებენ სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი და მისი მეუღლე დედოფალი ნესტან-დარეჯანი.

### ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲙᲘᲠᲐᲙᲘᲗᲮᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲥᲐᲠᲘ

ზუგდიდის კეთრაცხოველების სახელობის, ერში "მანცხვარკრიშ" ცკლესიად წოდებული ტაძარი ქალაქის ერთგვარ სიმბოლოსაც წარმოადგენს. ისტორიულ ქრონიკებში ტაძარი პირველად XIV საუკუნეში მოიხსენიება. 1874 წ. რუსეთის ეგზარხოსობისას ტაძარი რესტავრირებულ იქნა. აქვამად წარმოდგენს გუმბათოვან ნაგებობას. ტაძარი ადრე წმ. გიორგის სახელობის ყოფილა.

### ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲜᲐᲚᲔᲑᲘ

მდებარეობს მდინარე ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ქალაქ ხობიდან 3 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ნოღისუბნის ტერიტორიაზე. ძველად მას ხოფის მონასტერს ეძახდნენ. ხობის მონასტერი ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელშიც შედის ტაძარი, სახლე, სამრეკლო და გალავანი აგრეთვე დამხმარე ნაგებობათა ნაშთები. ტაძარი XIII – XIV საუკუნეების მიჯნაზე აიგო, დარბაზული ტიპისაა გვიანდელი მინშენებით. ინტერიერი მოხატულია.

ისტორიული წყაროების მიხედვით ხობის მონასტერი სადაიროს მთავართა სამკვლეს წარმოადგენდა და სხვადასხვა პერიოდში აქ დასვენებული ყოფილა: ღმრთისმშობლის კვართი, წმინდა გიორგის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. მარინას, წმ. კვირიკეს ნაწილები, შოლტი, რომლითაც მატხოვარი იქვემა, წმ. დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი, მრავალწილიანი ხატი წმინდანთა ნაწილებით.

### ᲥᲠᲛᲬᲮᲔᲚᲘᲡ ᲪᲐᲚᲔᲙᲘᲜᲘ

კორცხელის ყოფილად წმინდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია მდებარეობს ზუგდიდიდან რვა კილომეტრში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზუგდიდ-წალენჯიხის გზაზე. ეკლესიის მიდამოებიდან მოსჩანს სვანეთ-აფხაზეთისა და სამეგრელოს მთიან-ბორცვიანი და ვაკე ადგილები, კოლხეთის დაბლობის ვრცელი ტერიტორია და შავი ზღვა.

ისტორიული წყაროების თანახმად კორცხელის გუმბათოვანი ტაძარი XVII საუკუნეში აუშენა ლევან II დადიანმა.

### ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ

ზუგდიდის ყველაზედმნიერ ღმრთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, აშენებულია 1825-1830წწ. ასაშენებელი ფული იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოუგზავნა სამხედრელის მთავარს და თან დაუბარება ელაქერის ღმრთისმშობლის ხატი თავისი სარეცელით. ელაქერის ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი წმინდა სარეცლის ნაწილთან ერთად, რომელმაც არაერთხელ იხსნა განადგურებისგან კონსტანტინეპოლი, ადდიდანის სათავეანო, უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენდა.

15 ივლისს, ტაძრის დღესასწაულზე ზუგდიდის ისტორიული მუზეუმიდან, ყოფილი დედოფლის სასახლიდან ხდება ყოველწლიურად ღმრთისმშობლის სამოსელის გადმობრძანება ტაძარში და მორწმუნეებს ეძლევათ საშუალება თავვანი სცენ სიწმინდეს. ამ დღესასწაულს ელაქერობას ეძახიან.

### ᲤᲝᲗᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐᲚᲘ

1895 წლის 17 ივნის რუსეთის იმპერატორმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნება დართო, შექმნილიყო ფოთის საკათედრო ტაძრის მშენებლობის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ნიკო ნიკოლაძეს. ნ. ნიკოლაძეს ქარიული ხუროთმოძღვრული სტილის ტაძარის აეუნა სურდა, პროექტიც შეგვა, მაგრამ რუხულმა მმართველობამ ის დაიწუნა. რის შემდეგაც არქიტექტორების ხელეკეთა და მარფველთის მიერ შემუშავებულ იქნა ახალი პროექტი კონსტანტინეპოლის წმ. სოფიას ტაძრის მიხედვით. ტაძარი 2000 მლოცველზე იყო გათვალისწინებული.

## ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘ

### ᲛᲔᲜᲯᲘ

მენჯი ბალნეოლოგიური კურორტია სენაკის რაიონში, მდინარე ცივის ხეობაში, ზღვის დონიდან 29 მ. შავი სუბტროპიკეთა, რბილი, იცის რბილი უთოვლო ზამთარი (იანვრის საშუალო ტემპერატურა 5,2,ნ), ძლიერ თბილი, ზომიერად ნოტიონ ზაფხული (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 23,0ნ), შეფარდებითი სინოტივე -73%; ნალექების წლიური რაოდენობა - 1480მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა 2160 სთ. წელიწადში. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია გოგირდწყალბადიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი, რომელსაც იყენებენ აბაზანებისთვის სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს.

მენჯში არის სანატორიუმი, სანატორიუმის ტიპის რკინიგზის საავადმყოფო, საკურორტო პოლიკლინიკა. სეზონი - მთელი წელი.

### ᲚᲔᲗᲔᲠᲬᲧᲚᲘ

ლებარდე მთის ლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია ეგრისის ქედზე, მარტვილის რაიონში, ზღვის დონიდან 1600 მ. ახასიათებს ზომიერად რბილი ზამთარი (იანვრის საშუალო ტემპერატურა-4,1ნ) და ზომიერად გრილი ზაფხული (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 16ნ). ნალექები 1500 მმ წელიწადში. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია საშუალო მთის კლიმატი, ნაშშირმჟავა მინერალური წყალი.

სამკდიცინო ჩვენება: სუნთქვითი და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი. შეხონი - ოქტომბერი.

### ᲛᲔᲣᲖᲐᲠᲘ-ᲚᲔᲕᲔᲚᲘ

ლეკელას მინეალური წყალი გამოდის სამეგრელოს ქედის ქვემო წელში, ზღვის დონიდან 560 მეტრზე, მდინარე ხობისწყლის ხეობაში. ჭალები გაჭკეროვილია, უნილექტო და უგაზო, არ იყინება 25 გრადუსზეც.

ლეკელას წყალს საბაღის ტერიტორიიდან 3 კმ-ით დაშორებულია ცნობილი კურორტი მუხური, რომელსაც შეუხე სამკდიცინის მდინარე ხობისწყალი.

ლეკელას წყალს იყენებენ სამკურნალოდ სისხლის დენისას, რაქიტის, პარათიფოიური ჯირკვლების უკმაისობისას, ორგანიზმიდან კალციუმის დაკარგვისას, ანტიალერგიულია, კანის პარენქიმული პუპატიის, ნეფრიტის, სტომატიხის, კონიუქტივიტის დროს, ასევე გამოიყენება კოსმეტოლოგიაში.

### ᲛᲖᲘᲜᲘᲫᲔᲔᲑᲘ

სამეგრელო მდიდარია მღვიმეებით. მათი უმრავლესობა მიეკუთვნება მთებში მდებარეობს. მათ შორის ყველაზე ცნობილია ზესხენა ფოთლოვანება და ხვედრიდანის მღვიმე. მღვიმეები ნამდვილ საიდუმლოებით არის მოცული. მღვიმეები ნამდვილ საიდუმლოებით არის მოცული. სპელეოლოგთათვის და სპორტსმენებისთვის. ტოტავარიხლი - კარული ტბა ეგრისის ქედის სამხ. კალთაზე, ზღვის დონიდან 2650 მ. სიმაღლეზეა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 2
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: ticchkhorotskhu@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ: ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 10:00 – 18:00
(ᲮᲐᲤᲨᲣᲚᲘ – 09:00 – 18:00)

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 87
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: ticzugdidi@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ: ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 10:00 – 18:00
(ᲮᲐᲤᲨᲣᲚᲘ – 09:00 – 18:00)

ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲛᲐᲘᲡᲔᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 7
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: ticmartvili@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ: ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 10:00 – 18:00

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲙᲘ 4
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: ticpoti@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ: ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 09:00 – 18:00
(ᲮᲐᲤᲨᲣᲚᲘ – 10:00 – 19:00)

ᲨᲔᲛᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ (24/7)
0 800 800 909
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲠᲕᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲢᲔᲠᲐᲒᲔᲑᲐ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 4, 0105, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲢᲔᲚ: (+995 32)2436999
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: info@gnta.ge
georgia.travel
www.fb.com/GeorgiaAndTravel

ᲐᲠᲐᲙᲐᲜᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 2017


პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
რეგიონის ცენტრი
სახელმწიფო მნიშვნელობის ქალაქი
მუნიციპალიტეტი
საკრებულოს ცენტრი
სოფელი
გზა და რკინიგზა
საერთაშორისო მნიშვნელობის გზატკეცილი
სახელმწიფო მნიშვნელობის გზატკეცილი
მაგისტრალი სახელმწიფო მნიშვნელობის გრუნტი
ადგილობრივი მნიშვნელობის გზა
გაუმჯობესებული გრუნტი
სასოფლო
საველე და ტყის გზები
ბილიკები
რკინიგზა სადგურებითა და გაჩერებებით
საზღვრები
ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარი
რეგიონის საზღვარი
ჰიდროგრაფია
მუდმივი ჩამონადენის მქონე მდინარე
შრობადი მდინარე
არხი
შრობადი არხი
ტბები და წყალსაცავები წყლის სარკის სიმაღლის ნიშნულებით
გამავალი ჭაობი
უღელტეხილი მოქმედების ვადით და სიმაღლის ნიშნულით მეტრებში
მთის მწვერვალის სიმაღლის ნიშნულით მეტრებში
აეროპორტი
საზღვაო პორტი
მასშტაბი 1:230 000
1 სანტიმეტრს ადგილზე შეესაბამება 2.3 კმ
GeoLand Ltd 2012
www.geoland.ge
სიმაღლეების შკალა მეტრებით
0
0-200
200-500
500-1000
1000-1500
1500-2000
2000-3000
3000-4000
4000-6000
სიმბოლოები
ეკლესია/მონასტერი
სამონასტრო კომპლექსი
ისტორიული ძეგლი
ციხე-სიმაგრე
გამოქვაბული
არქეოლოგიური ძეგლი
მუზეუმი
დაცული ტერიტორია
მღვიმე
ბოტანიკური ბაღი
კურორტი
ბუნების ძეგლი
იპოდრომი
ღამჭრობა
თევზაობა
ნადირობა
შუქურა
აფხაზეთი
რაჭა-ლეჩხუმი
შავი ზღვა
იმერეთი
გურია
სვანეთი
ოთხეთურა-დუდი 3040
დიდგალი-დუდი 3169
ლაკბათან-დუდი 2947
სამონერბოლა 3170
ტეხურიდუდი 3001
მაღანას ჩანჩქერი
ცოტნე დადიანის გამოქვაბული
ლაბანურა 2167
ლაბანურა 2420
ლაბანურა 1477
ლაბანურა 2038
ტეხურა
ლაბანურა 2767
ლაბანურა 2203
ლაბანურა 2605
ლაბანურა 2520
ლაბანურა 1281
ლაბანურა 1467
ლაბანურა 1183
ლაბანურა 1188
ლაბანურა 1106
ლაბანურა 1476
ლაბანურა 1477
ლაბანურა 1478
ლაბანურა 1479
ლაბანურა 1480
ლაბანურა 1481
ლაბანურა 1482
ლაბანურა 1483
ლაბანურა 1484
ლაბანურა 1485
ლაბანურა 1486
ლაბანურა 1487
ლაბანურა 1488
ლაბანურა 1489
ლაბანურა 1490
ლაბანურა 1491
ლაბანურა 1492
ლაბანურა 1493
ლაბანურა 1494
ლაბანურა 1495
ლაბანურა